სლაიდი 1:

გამარჯობა, მე ვარ *(თქვენი სახელი და გვარი)* და *(თქვენი ორგანიზაცია)* ვმუშაობ. დღეს სახალისო და თან სერიოზულ თემაზე უნდა გესაუბროთ. ძალიან მიხარია, რომ თქვენს სკოლაში მომიწვიეთ. გავიგე, რომ ამ კლასში ძალიან გონიერი ბავშვები სწავლობთ და ამიტომ, თქვენც უნდა დამეხმაროთ და ერთად ვიპოვოთ პასუხები იმ კითხვებზე, რომლებზეც უფროსები ხშირად ვფიქრობთ.

მე ფინედუს დესპანი ვარ.

- **იცით რას ნიშნავს სიტყვა „დესპანი“?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **და ფინედუ თუ გაგიგიათ?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფინედუ ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი ფინანსური განათლების ვებგვერდია. მისი მიზანია ფინანსური განათლების საკითხებზე დააფიქროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი და მათ შორის, ბავშვებიც.

დღეს გესტუმრეთ, რათა მსოფლიოს ასიათასობით ბავშვთან ერთად ფულის გლობალური კვირეულს შევუერთდეთ და ვისაუბროთ ისეთ თემებზე, როგორებიცაა ფული, დაზოგვა და ფინანსური უსაფრთხოება.

სლაიდი 2:

ყოველდღიურ ცხოვრებაში ალბათ ყველას გაქვთ შეხება ფულთან: შესაძლებელია ზოგი მშობელს მაღაზიაში ეგზავნებით და ყიდულობთ ნივთებს, ვიღაცას დაბადების დღეზე მიუღია ფული საჩუქრად, ვიღაცას სახლიდან ჯიბის ფულს გატანენ, თქვენ შორის ისეთებიც იქნებით, ვინც ფულს ყულაბაში ან ბანკშიც კი აგროვებთ.

მართლაც, ფული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ფულის გონივრულად გადანაწილებასა და დაცვასაც ცოდნა და დაფიქრება სჭირდება. შესაძლოა, გსმენიათ, თუ როგორ წუხან უფროსები იმის გამო, რომ დაუფიქრებლად დახარჯეს ან შემოეხარჯათ ფული ან პირიქით, იქნებ წარმატებული ისტორიებიც გაგიგიათ, როგორ მიაღწიეს ადამიანებმა საკუთარ მიზნებს, მას შემდეგ, რაც დაზოგეს ან ჭკვიანურად დაგეგმეს ფული.

ფინანსური განათლება სწორედ ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნას გულისხმობს და ადამიანებს გვეხმარება ჩვენი ფინანსების ისე გადანაწილებაში, რომ შევძლოთ დაზოგვა, ჩვენი მიზნების მიღწევა და ფინანსური სირთულეების თავიდან არიდება.

სლაიდი 3:

რადგან, დღეს ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა ვისაუბროთ, ჯერ მოდი მოკლედ ეროვნულ ბანკზე ვთქვათ.

- **გაგიგიათ რამე ეროვნულ ბანკზე ან რა კავშირი აქვს მას ფულთან, რომელიც შეიძლება ზოგ თქვენგანს ახლა ჯიბეშიც უდევს?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ეროვნულ ბანკს ბევრი ფუნქცია აქვს, მაგრამ დღეს მოგიყვებით სამ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციაზე:

ფუნქცია #1 - ეროვნული ბანკი ზრუნავს, რომ პროდუქტების ფასები ქვეყანაში სტაბილური იყოს ანუ ხშირად და ძალიან არ იცვლებოდეს.

- **მოდი, უფრო გასაგები რომ იყოს, რომელიმე თქვენგანმა მითხრას, რისი ფასი იცით, რა იყიდეთ ბოლოს?** *(რომელიმე ბავშვი პასუხობს და ამ პასუხზე აგებს განმარტებასაც, მაგალითად ბავშვმა თქვა, რომ იყიდა სნიკერსი 2 ლარად)*

ფასების სტაბილურობაზე ზრუნვა დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ დღეს თუ სნიკერსი 2 ლარი ღირს, მისი ფასი არ უნდა იცვლებოდეს ძალიან ხშირად და ძალიან მნიშვნელოვნად: მაგალითად, ხვალ 20 არ ღირდეს, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

ფუნქცია #2 - ეროვნული ბანკი ასევე გახლავთ ბანკების და სხვა ფინანსური ორგანიზაციების ზედამხედველი - ანუ, მარტივად, და სპორტული ტერმინებით რომ ვთქვათ - „მსაჯი.“

- **ალბათ ყველას გსმენიათ კომერციული ბანკების შესახებ. ვის შეუძლია გვითხრას, რას საქმიანობს ბანკი?** *(ბავშვები პასუხობენ).*

ბანკი ფინანსური ორგანიზაციაა, რომელშიც შეგვიძლია შევინახოთ ჩვენი დანაზოგი ან მისგან ვისესხოთ თანხა. ბანკში ასევე ვიღებთ პლასტიკურ ბარათებს, ვიხდით წყლის, ინტერნეტის და სხვა გადასახადებს და ვრიცხავთ ფულს როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ეროვნული ბანკი სპეციალურ წესებს უდგენს ბანკებს და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გამართულად და კეთილსინდისიერად მუშაობენ, დაახლოებით ისე, როგორც მაგალითად, ფეხბურთის მსაჯი აკეთებს საფეხბურთო მოედანზე. და როგორც მსაჯს შეუძლია მოთამაშე არაკეთილსინდისიერი თამაშისთვის დააჯარიმოს, ეროვნულ ბანკსაც შეუძლია ბანკებს არაკეთილსინდისიერი საქციელისთვის ჯარიმა ან სხვა სანქცია დაუწესოს.

ფუნქცია #3 - კიდევ ერთი, რითიც ეროვნული ბანკი ფულს უკავშირდება ისაა, რომ ეროვნული ბანკი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ქაღალდის ფულისა და მონეტების გამოშვების უფლება. ქაღალდის ფულს ბანკნოტებს უწოდებენ.

სლაიდი 4:

- **მაინც რა არის ფული და რატომ არსებობს?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფულის საშუალებითაც ვიგებთ, რა ღირს საქონელი და მომსახურება და რითიც ვიხდით ამ საქონლის და მომსახურების საფასურს. ფულის საშუალებით ვყიდულობთ სასურველ ნივთებს.

- **თუ იცით, რა ეწოდება ქართულ ფულს?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **იცით, რომელია ლარის სიმბოლო? ვის სურს, დაფასთან გამოვიდეს და დაგვიხატოს ის?** *(რომელიმე ბავშვი გამოვიდეს)*

სლაიდი 5:

იცოდით, რომ უძველეს დროში, სანამ თანამედროვე ბანკნოტებს და მონეტებს გამოიგონებდნენ, ადამიანები პირდაპირ ცვლიდნენ ერთმანეთში სხვადასხვა ნივთებს? მაგალითად, ზოგ ადამიანს ხორცი სჭირდებოდა, ზოგს - იარაღი. ამ ნივთების ყიდვის ნაცვლად ისინი პირდაპირ ცვლიდნენ მათ ერთმანეთში.

დროის გასვლასთან ერთად კი გაჩნდა ფულიც, რომელიც თანდათან იცვლიდა სახეს. მოდი, გავიაროთ ფულის განვითარების ისტორია.

სლაიდი 6:

- **მარილი, ზღვის ნიჟარა, ცხვარი - თქვენი აზრით რა საერთო აქვს ამ სამ ნივთს?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ეს სამივე ნივთი, მონეტებისა და ბანკნოტების გამოგონებამდე, ფულის როლს ასრულებდა. მაგალითად, ვინმეს თუ რაიმეს ყიდვა სურდა, ამაში გარკვეული რაოდენობის მარილი, ნიჟარა ან ცხვარი უნდა გადაეხადა. თუმცა, სასაქონლო ფულის სისტემა არაეფექტური იყო - ადამიანებს უჭირდათ ნივთის ფასზე შეთანხმება - მარტივი მაგალითი რომ ვთქვათ, პრობლემები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ცხვარი უფრო მსუქანი ან გამხდარი აღმოჩნდებოდა, ვიდრე „მყიდველი“ ელოდა.

სლაიდი 7:

ამიტომაც საჭირო გახდა ისეთი ფულის შემოღება, რომელსაც კონკრეტული ღირებულება ექნებოდა, ანუ რომლის ღირებულებაც არ იქნებოდა საკამათო. დღესაც, სწორედ ასეთ ფულს ვიყენებთ. მაგ. ამ ხუთლარიანს 5 ლარის ღირებულება აქვს და ჩვენ არ გვიწევს კამათი და მოლაპარაკება იმისთვის, რომ შევთანხმდეთ, თუ რა ღირს ის რეალურად. სწორედ ეს არის ფულის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - იყოს ღირებულების სტანდარტული საზომი საშუალება.

- **საინტერესოა, თქვენი აზრით, მონეტები უფრო ადრე გაჩნდა, თუ ქაღალდის ფული?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სწორი პასუხია მონეტები - ისინი პირველად თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ლიდიის სამეფოში ძვ. წ. მე-6 საუკუნეში მოჭრეს, მრავალი საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე ქაღალდის ფული გაჩნდებოდა!

საქართველოში მოჭრილი პირველი მონეტა კოლხური თეთრია, რომელიც კოლხეთის სამეფოში ძვ. წ. მე-6 საუკუნეში მოიჭრა.

სლაიდი 8:

- **თქვენი აზრით, რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ქაღალდის ფული? მინიშნებას მოგცემთ - ეს ის ქვეყანაა, სადაც გამოიგონეს ქაღალდი!** *(ბავშვები პასუხობენ)*

სწორი პასუხია ჩინეთი - ჩინელებმა მე-10 საუკუნიდან აქტიურად დაიწყეს ქაღალდის ფულის გამოყენება.

- **თქვენი აზრით, თუ მონეტები უკვე არსებობდა, მაშინ რატომღა გამოიგონეს ქაღალდის ფული?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სწორი პასუხია: მონეტები ძალიან მძიმე, გადასაადგილებლად მოუხერხებელი იყო განსაკუთრებით, თუ რაიმე ძვირი უნდა გეყიდათ და ბევრი მონეტა გამოგეყენებინათ. ამავდროულად, მონეტები ქურდებისთვის მარტივი სამიზნე იყო. ამას გარდა, რთული იყო სპილენძისა და სხვა ძვირფასი ლითონების იმ რაოდენობით მოძიება, რაც მონეტების დასამზადებლად იყო საჭირო. ამ ყველაფერმა ქაღალდის ფულის გაჩენას შეუწყო ხელი.

- **ჩვენ ვისაუბრეთ ბანკნოტებზე, მონეტებზე - კიდევ რა ფორმა აქვს დღევანდელ დღეს ფულს?** *(ბავშვები პასუხობენ).*

დღევანდელ დღეს, ფართოდ გავრცელებულია ფულის არა ფიზიკურად, მაგალითად საფულით, არამედ პლასტიკური ბარათებით ტარებისა და გადახდის ფორმა - შეიძლება ასეთი ბარათები თქვენც გაქვთ.

- **როგორ ფიქრობთ, რატომ არის მოსახერხებელი ბარათზე ფულის შენახვა?** *(ბავშვები პასუხობენ)*

თუ ბავშვები არ უპასუხებენ, სპიკერმა თქვას: ჩვენ ყველგან მარტივად და სწრაფად შეგვიძლია ბარათით ფულის გადახდა - სასადილოში, მაღაზიაში, კინოში, ინტერნეტითაც. ამასთან, უფრო დაცულები ვართ ფულის ქურდობისგან და დაკარგვისგან. თუმცა ბარათებსაც ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც ფულს - არ ვათხოვოთ არავის და არ გავუზიაროთ ბარათზე დატანილი ინფორმაცია სხვებს.

სლაიდი 9:

- **რომელიმე თქვენგანი თუ იყენებს საბანკო ბარათს ან მშობლების ბარათები ხომ არ გამოგიყენებიათ?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **რა ინფორმაცია არის საბანკო ბარათზე დატანილი?** *(ბავშვები პასუხობენ)*

საბანკო ბარათზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დატანილი: ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, უკანა მხარეს კი უსაფრთხოების კოდი. ამ მონაცემების მოპოვებით, სხვა ადამიანს მარტივად შეუძლია თქვენი ბარათიდან თანხის მოპარვა, ამიტომ გირჩევთ არავის ათხოვოთ ბარათი და არავის გაანდოთ თქვენს ბარათზე დატანილი მონაცემები, ასევე ბარათის პინ-კოდი. თუ ვერ პოულობთ ბარათს, ან ეჭვი გაქვთ, რომ ბარათის მონაცემები მოპარულია, აუცილებელია დაბლოკოთ ბარათი. ეს შეიძლება გააკეთოთ მობაილბანკით, რის საშუალებასაც ბანკები როგორც წესი, ბავშვებსაც სთავაზობენ ხოლმე. გაითვალისწინეთ, რომ აქ დროული მოქმედება მნიშვნელოვანია, ამიტომ თუ საჭიროა, შეგვიძლია ოჯახის წევრს, მშობელს ვთხოვოთ დახმარება, რათა თაღლითმა (სხვა ადამიანმა) ვერ შეძლოს მოპარული ბარათით სარგებლობა.

სლაიდი 10:

მოდი ახლა იმ საკითხებს დავუბრუნდეთ, რომლებზეც პრეზენტაციის დასაწყისში ვსაუბრობდით: პირადი ფინანსების მართვა და დაზოგვა.

დაზოგვა და ხარჯვა ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებებია. ხარჯებს თავს ვერ ავარიდებთ, ამიტომ მნიშვნელოვანია, დავფიქრდეთ და გონივრულად ვხარჯოთ ჩვენი ფული. ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რა არის საჭიროება, და რა არის სურვილი. საჭირო ხარჯები აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისთვის - მაგალითად, ასეთია საკვების, ტანსაცმელის, საცხოვრებლისთვის გადახდილი ხარჯები. არააუცილებელი ხარჯები კი ჩვენს სურვილებზე დახარჯული ფულია, რომლის დახარჯვა აუცილებელი სულაც არ არის, თუმცა გვსიამოვნებს და ბედნიერებას გვანიჭებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ის, რამდენად გონივრულად გადავანაწილებთ ფულს ჩვენს საჭიროებებზე, სურვილებზე და ნაწილს დავზოგავთ კიდეც. - რამდენადაც მცირე არ უნდა იყოს ჩვენი შემოსავალი, აუცილებელია მისი ნაწილი დავზოგოთ, რათა - მივაღწიოთ ჩვენს ფინანსურ მიზნებს.

- **მაგ. უახლესი მოდელის სმარტფონი, თუ ძველი ტელეფონი მუშაობს, საჭიროებაა, თუ სურვილი? ახალი ფეხსაცმელები, თუ ძველი დაგვიპატარავდა?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სლაიდი 11:

- **თქვენ თუ გაქვთ ფინანსური მიზანი?** *(3-4-მა ბავშვმა მაინც გაზიაროს საკუთარი მიზანი)*
- **რა არის საჭირო, რომ მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფულის დაზოგვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა, ჩვენი მიზნების მისაღწევად.

- **თქვენი აზრით, ადვილია ფულის დაზოგვა და ჭკვიანურად ხარჯვა?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **თუ ადვილია, რატომ? თუ არ არის ადვილი, რატომ?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სლაიდი 12:

დაბოლოს, გახსოვთ გითხარით, რომ ამ კვირას ფულის გლობალური კვირეული აღინიშნება-მეთქი? იცით რა არის ფულის გლობალური კვირეული? რატომ ტარდება ის?

მას მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ყოველწიურად აღნიშნავენ. ფულის კვირეულის მიზანია როგორც ბავშვებში, ისე დიდებშიც ავამაღლოთ ცოდნა ფულთან დაკავშირებული საკითხებისა და პირადი ფინანსების მართვის სარგებლიანობის შესახებ. წელს კი ამ კვირეულის ფარგლებში ფინანსურ უსაფრთხოებაზეც საუბრობენ.

- **სიტყვა დევიზი ან სლოგანი თუ გაგიგიათ?** *(ბავშვები პასუხობენ)*

წლევანდელი კვირეულის დევიზია: ***„დაიცავი შენი ფული, დაიცავი შენი მომავალი“***

მოდი ჯერ ერთად ვნახოთ ფინედუს პატარა ვიდეო[1] ფინანსური თაღლითობის შესახებ

(გაუშვით ვიდეო)2

- **რა რჩევები დაგამახსოვრდათ ვიდეოდან?** *(უპასუხონ ბავშვებმა)*

თქვენი პასუხებიდან მივხვდი, რომ როცა მითხრეს, ამ კლასში ძალიან ჭკვიანი ბავშვები სწავლობენო, მართლაც ასე ყოფილა!

მადლობას გადაგიხდით, რომ მომიწვიეთ თქვენს კლასში, დაგემშვიდობებით, და წარმატებებს გისურვებთ! *(დაარიგეთ მასალები, გადაიღეთ სურათები)*

---

[1] ვიდეოს ბმული - https://www.youtube.com/watch?v=44D7QfMoFKc - პრეზენტაციიდან გახსნისას მიაქციეთ ყურადღება, რომ ბმული იხსნება slide-show-ს რეჟიმიდან. გარდა ამისა, შესაძლოა გახსნამდე მოგთხოვოთ ბრაუზერზის გახსნის თანხმობა

[2] ვიდეო გაუშვით იმ შემთხვევაში თუ ტექნიკურად გექნებათ შესაძლებლობა და გაკვეთილის მსვლელობაც მოგცემთ ამის საშუალებას. თუ ვიდეო ვერ გაუშვით შეკითხვა ასე დაუსვით - რა დაგამახსოვრდათ გაკვეთილიდან?